

№ 140 (4134)

1970 წ.

19 ივლისი, 330 რა, შპს 3 კპპ.

სამ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროკატორთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაზეთი გაედი 1934 წლის 13 აპრილიდან

სპარტაკიადით უთაგონებულნი!

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის... ძალის, სილამაზის, ახალ-გაზრდობისა და სიჭაბუკის ეს გრანდიოზული დღესასწაული მართლ სპორტსმენებისთვის როდესაც ეწეობა...

ტურული, გრაფიკული ნამუშევარი და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში უნდა შეარჩიოს გამოფენისთვის „ფიზიკური კულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში“ კომიტეტს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ე. ბეღლაშვილი.

ღებზეც ასახული იქნება ფიზიკულ-ტურული მოძრაობის ჩასახვა და განვითარება ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სპორტის მასობრიობა, მისი ლიდერების საერთაშორისო მიღწევები.

სტადიონზე მოეწეობა სპორტული მხატვრული ფოტოგრაფიის, აგრეთვე, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის საკავშირო გამოფენები. გამოცემილია „ფიზიკულ-ტურა ი სპორტი“ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებისთვის მასობრივი ტირაჟებით უშვებს ახალ პლაკატებს, პროგრამებს.

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა დღესივე სტადიონზე ერთი წლის შემდეგ გაიხსნება, მხატვრული კი უკვე შეუდგენენ მხატვრებს. საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელშიც შევიდნენ მხატვრები, სპორტსმენები, სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ათანზე მეტი ფერწერული, სკულპ-

გამოფენა, რომელსაც მხატვართა კავშირი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან, საკავშირო ალკ ცენტრალურ კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად ატარებს, 1971 წლის ივლის-აგვისტოში მოეწეობა — ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში.

სპორტული ფილატელიის საკავშირო გამოფენის ლაურეატებს ეთით სპეციალური ჩილოები, მედლები, დიპლომები, პრისები. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს ფილატელისტთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ე. კრენკელი.

მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში საკავშირო სპორტული ფორუმის დღეებში კინოფესტივალები ჩატარდება. მუყურებლები ნახვენ საბჭოთა სპორტულ ფილმებს, რომლებმაც უმაღლესი ჩილოები მიიღეს ფეხბურთის გამართულ კონკურსებში. სპარტაკიადის გამოცემურებთან კომპოზიტორები და პოეტებიც. სტადიონებზე, პარკებსა და ბაღებში აუღერდება ახალი მელოდები, მარშები, სიმღერები.

19 ივლისი მებტალურის დღეა! ეროვნული საკავშირის ზეპეპიან

სტადიონზე მებტალურული ჟარხნის მშობლები სასახელი მარგენებლით სველიან თავიანთ დღესასწაულს — მებტალურგთა საკავშირო დღეს. ხუთწლედის ბოლო წელს სამშობლოს ახალ-ახალ გამარჯვებებს უბატავებენ ფოლადის მღონებლები, მიღწევიანებები, მგლინავეები, კოქსიმიკოსები.

მებტალურები სპორტშიც მოწინავენი არიან. სპორტულში „ფოლადი“ ათასობით ფიზიკულურად აგრეთიანებს. ისინი 20 სახეობაში ვარჯიშობენ და იცვენ ქარხნის ლირსებას, ბევრჯერ კი საკავშირო სარბიელზეც მოუპოვებიათ წარმატება. წლეულს „მებტალურის“ ფესბურთელთა გუნდი კარგად გამოდის სსრ კავშირის ბირველობაზე „ბ“ კლასში, კლასიკური სტილის მოჭიდველებმა საბჭოთა კავშირის სპორტულში ფიზიკულურული კოლექტივების თაის დისკულტარს. ახლანდელ გელომბროლელებმა „განთადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა და თასი მოიპოვეს. ამევე საზოგადოების ჩემპიონები არიან ნიჩბოსნები, ხოლო მძლეოსნები, ძაღოსნები, აგრეთბტები და მოჭიდვეები მუდამ საბრბო ადგილებზე გადიან.

ჩვენს ბიჭებს რესპუბლიკაში




ალმა-აიბ. აქ დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს პარაშუტისტთა ფინალური ასპარეზობა უაზახეთის დოსაფის V სპარტაკიადის პროგრამით. შეჯიბრებაში 80-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მსოფლიო რეკორდსმენი პ. დმიტრიენკო, ქალთა შორის — ვ. ვისოჩინა (ორივე — ალმა-აიბის ოლქი).



ბორბი. 188 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა 22 წლის მინსკელმა ველოსიპედისტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, დინამოელმა ნ. დმიტრიენკო. ქალაქის ქუჩებში გამავალი ტრასის 17 წრე ძალიან რთული იყო. გამარჯვებულის შედეგია 4:52:00.

კაპიტანები

აპტიუბინსკი. აქ ჩატარდა მეცხვარეთა საოლქო ყრილობა, რომელიც იპოდრომზე გამართული საცხენოსნო-სპორტული დღესასწაულით დამთავრდა. სარბიელზე გამოვიდნენ აქტაუბინსკის ოლქის მეურნეობათა საუკეთესო ცხენოსნები. პრიზები გათამაშდა დოღში და ეროვნულ თამაშებში. 10 კილომეტრზე დოღში პირველი ადგილი და პრიზი — „უაზახეთის 50 წელი“ — მოიგო კენკიკის საბჭოთა მეურნეობის ნორჩმა მებტარმა, მებტუქლასელმა მ. საგანდოკოვმა.



ჩვენს უბნის კორტეჟი

17 ივლისს დიუნელდორფში დაიწყო ევროპის „ბ“ ზონის ფინალური მატჩი გერმანია და სსრ კავშირის გუნდებს შორის. პირველ დღეს მოსკოველი ვ. კორტუოვი შეხვდა მასპინძელთა გუნდის ფავორიტს ვ. ბუნგერტს და ოთხ პარტიაში დამარცხდა — 4:6, 9:7, 4:6, 3:6.

სახიბარულთა, რომ „ფოლადის“ აღზრდილები თავს არ ირცხვენენ ღიდ სარბიელზეც. ფესბურთელი შ. ხინჩაგაშვილი თბილისის „დინამოში“ თამაშობს, ხოლო თ. კონიაშვილი გორის „დილის“ ღირსებას იცავს. საიბრე საამქროს ზეინკალი ვ. ნესტერენკო საქართველოს მძლეოსნთა ნაკრები გუნდის წევრია, რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდვეთა ნაკრებში გამოდის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ქსელებისა და ქვესადგურების საამქროს მორიგე ელექტრომობტიორი, სპორტის ოსტატი ა. მენაბდიშვილი, ვ. ბეიგერი კი რესპუბლიკის ღირსებას იცავს აკრობატიაში.

დ ე კ ე შ კ გზიდან თბილისის მ. თოძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის ველოტურისტული ლაშქრობის (თბილისი — ვოლგოგრადი) მონაწილეებმა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნება, წარმატებით გავიარეთ მეორე საკონტროლო პუნქტი. თავს შესანიშნავად ვგრძნობთ. პ. ბირბილიძე, ლაშქრობის ხელმძღვანელი, სოქი.

სულ უფრო ვიწროვდება დევისის თასის მოპოვების პოეტენდენტთა წრე. როგორც ცნობილია, „ვერცხლის სასალათეს“ ამჟამად აშშ-ს ჩოგბურთელები ფლობენ. ვინ იქნება მათი მეტოქე? ევროპის ფინალური ტურნირის „ა“ ზონაში ესპანელებმა ბარსელონაში უმასპინძლეს იუგოსლაველებს და ვერაფერი „თავაზიანები“ გამოდგნენ. პირველი დღის შემდეგ ანგარიში

ახლა ესპანელთა ნაკრები შეხვდება კანადა — ბრანლიას შორის გამარჯვებულს, ხოლო გფრ — სსრ კავშირის მატჩში გამარჯვებული — აზიის ზონის უძლიერეს გუნდს — ინდოეთის ნაკრებს. ბოლოს კი საკონტინენტთაშორისო მატჩის უძლიერესი გუნდი დევისის თასის მფლობელს — აშშ-ს კოლექტივს ეთამაშება გალაშქვებ მატჩში.

